ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5773637

ნომერი: AR1873453

თარიღი : 19.01.2022

გაცემის თარიღი : 27.01.2022

გაცნობის თარიღი : 27.01.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობების II,III,IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი N7; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N15/121) ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N50); ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მე-2, მე-3 და მე-4 მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N44);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა კაპანაძე პ/ნ 01010003858
- ნუცუბიძის ქ. 203

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ფერდობების
II,III,IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი N7; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N15/121) ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N50); ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მე-2, მე-3 და მე-4 მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N44), (ნაკვეთი №001/216), შპს „პილარ ჯგუფი-ნუცუბიძე”-ს კუთვნილ ტერიტორიაზე სამშენებლო ღობეზე სარეკლამო აბრების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882021852914 05/10/2021წ. საკადასტრო კოდი №01.14.16.015.479, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ფერდობების
II,III,IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი N7; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N15/121) ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N50); ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მე-2, მე-3 და მე-4 მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N44), (ნაკვეთი №001/216), შპს „პილარ ჯგუფი-ნუცუბიძე”-ს კუთვნილ ტერიტორიაზე სამშენებლო ღობეზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.